

## კათალიკოს დომენტი III-ის საბეჭდავი

წმ. საბა განწმენდილის მონასტრის (ილ. 1) წინამძღვარმა არქიმანდრიტმა მამა ევდოკიმოსმა გვაჩვენა ქართულწარწერიანი საბეჭდავი (ილ. 2). ესაა წაწვეტებული დისკოს ფორმის (მსხლისებური მოყვანილობის) სპილენძის ფირფიტა, რომელსაც უკანა (ზედა) მხარეს, შუაში მოკლე ცილინდრული სახელური აქვს მირჩილული.

საბეჭდავის ზომებია: წაწვეტებული დისკოს სიგრძე – 56 მმ, სიგანე – 53 მმ, სისქე 2 მმ; სახელურის სიმაღლე 18 მმ.

საბეჭდავის ზედაპირზე დაბალ რელიეფში ამოკვეთილია სვეტიცხოვლის აღმართვის სცენა და ქართულ-ბერძნული წარწერები. გამოსახულება მთლიანად ავსებს საბეჭდავის ზედაპირს (ილ. 3).

კვეთილი კომპოზიციის ცენტრში აღმართულია სვეტი, რომლის ზედაპირზე გამოსახულია სპირალურფლორტებიანი ვაზი. სვეტი დგას წალკოტში ("სამოთხეში"), რომელიც მინიშნებულია სვეტის ორივე მხარეს გამოსახული ხვიარა მცენარეებით; ამასთან, მარჯვენა მცენარის ხვეულებში ორი ფრინველი ზის, ნისკარტებით სვეტისკენ მიქცეული, მარცხენა მცენარის ძირთან კი დიდი ზომის ყვავილი – ვარდია ამოკვეთილი. "სამოთხე" მოქცეულია ოთხკუთხა ჩარჩოში, რომლის ზედა მარჯვენა

კუთხე რკალურადაა მოკვეთილი, რაც, უთუოდ, რაღაცას უნდა მიანიშნებდეს.

სვეტისა და "სამოთხის" ქვეშ გამოსახულია საფლავში მწოლარე სიღონია, თავით მარჯვნივ. მკერდთან მიტანილ მარცხენა ხელში მას კვართი უპყრია.

სვეტიცხოვლის ზემოთ, კარტუშში (ფიგურულ ჩარჩოში) ჩასმულია ხელუბადმართული უფლის სახე, კუთხოვანი შარავანდით, და მის ორ მხარეს თითო ქართული მთავრული ასო: "ღ" და "ზ", რაც, ალბათ, უნდა წავიკითხოთ, როგორც – "ღვთაება".

სვეტის მარცხნივ დგას წმ. ნინო ჯვრით ხელში, მარჯვნივ კი ასევე შარავანდიანი ქალი, ვედრების პოზაში, შესაძლებელია, წმ. ნანა დედოფალი. ორივე წმ. დედის ზურგს უკან თითო წიწვოვანი ხეა გამოსახული წაწვეტებულ სადგარებზე, რაც, ალბათ, გორაკს აღნიშნავს. მარჯვენა სადგარში ტოლმკლავა ჯვარია ამოკვეთილი, მარცხნივ კი, წმ. ნინოს უკან, წიწვოვანი ხის ზემოთ გუმბათიანი ეკლესიაა გამოსახული, თუმცა გუმბათზე მოსალოდნელი ჯვრის ნაცვლად სამთითასებურ ფიგურას ვხვდავთ. წმ. დედების თავებს ზემოთ, უფლის გამოსახულებიანი კარტუშის ორივე მხარეს თითო ტოლმკლავა ჯვარია დასმული. ასეთივე



1. წმ. საბა განწმენდილის მონასტერი. საერთო ხედი. (ფოტო დ. ცხადაძის)



2. სპილენძის საბეჭდავი წმ. საბა განწმენდილის მონასტრიდან (ფოტო დ. ცხადაძის)

ჯვარი ზის კარტუმის ზემოთაც, საბეჭდავის გამოსახულებიანი ზედაპირის წვეტში.

სვეტიცხოვლის აღმართვის სცენა შემოსაზღვრულია ჩარჩოთი, რომელიც საბეჭდავის ზედაპირის კიდეს გასდევს და, ცხადია, მის ფორმას იმეორებს. ჩარჩოს ზედა წვეტში ჩაწერილია ქართული ასომთავრული "ქ" და მისგან მარჯვნივ იწყება და ქვევით გრძელდება ქართული ასომთავრული წარწერა – მათეს სახარების მე-16 თავის მე-19 მუხლის ბოლო წინადადება: "რ[ომელ]ო: ბ[ან]კ[ვ]სენათ: ძ[უქ]შ[ან]სა: [ზედა] ცსნილ: იჟოს: იბი: ცათა: შ[ინ]ა:".

განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი; ქარაგმის ნიშანი არ არის აღნიშნული, მხოლოდ პირველი სიტყვის ასოებს შორის დასმულია ერთი წერტილი; ზედმეტი "ე" მეორე სიტყვაში მონოგრამად შეერთებულია მის მომდევნო "ნ" გრაფემასთან; ამავე სიტყვაში ზედმეტი "თ"-ც; სახარების კანონიკურ ტექსტში აქ ზმნა მხოლოდით რიცხვშია ნახმარი; კანონიკური ტექსტისაგან განსხვავებით, საბეჭდავზე გამოტოვებულია სუფიქსიც "ზედა".

ასომთავრულ გრაფემათა მოხაზულობა გვიანი შუა საუკუნეების ნორმებში ჯდება.

ქართულ წარწერას ჩარჩოს ნახევარზე მეტი უკავია და მისი ბოლო ორწერტილის შემდეგ უშუალოდ იწყება ბერძნული წარწერა, რომელიც ქვევიდან ზევით არის მიმართული. ამ წარწერის ბოლო სიტყვა ჩარჩოს შიგნით, უფლის გამოსახულებიანი კარტუმის თავზეა მოთავსებული.

ბერძნული წარწერა უწიგნურად არის შესრულებული. ზოგიერთი ასონიშანი ისეა

დამახინჯებული, რომ მისი ამოცნობაც კი ჭირს. ტექსტის წაკითხვას და გაგებას ისიც აძნელებს, რომ განკვეთილობის ნიშნები არ არის ნახმარი. ერთი რამ კი უეჭველია: ბერძნული წარწერა არ არის ციტატა სახარებიდან, ე.ი. ის ქართულის შესატყვისი არ არის.

წარწერას დაახლოვებით ასეთი სახე აქვს: Δ(?)ΕΜΕΤΙΟΣΕ(Σ?)ΑΣ(Ε?)ΟΘΝΚΑΟ(Θ?)ΟΛΙΚΟΠ(Α?)ΣΙΣ ΙΒΣ(Ε?)ΡΗ(?)Σ

მეტნაკლები ალბათობით თითქოს ირკვევა სამი სიტყვა: "ΔΕΜΕΤΙΟΣ", "ΚΑΘΟΛΙΚΟ" და "ΙΒΣΡΗΣ", მაგრამ აქაც ბევრი რამ საჭოჭმანოა. პირველი ასონიშანი რუსულ მთავრულ „Д“-ს უფრო ჰგავს, ვიდრე ბერძნულ "Δ"-ს; ამავე სიტყვაში "Т" და "Н" ერთმანეთთან მონოგრამადაა შეერთებული, ბოლო "Σ" კი "Ο"-შია შეწიალებული.

გაუგებარი რჩება ნიშანთა ჯგუფების "Ε(Σ?)ΑΣ(Ε?)ΟΘΝ" და "Π(Α?)ΣΙΣ" ("საყოველთაო") მნიშვნელობა. მეორე ჯგუფში "Π" და "Α" ასონიშნები მონოგრამადაა შეკრული (საბეჭდავის ბერძნული წარწერის განხილვაში კონსულტაცია გაგვიწია ქნმა თ. ყაუხჩიშვილმა).

საფლავეში მწოლარე სიღონიას ქვეშ, ჩარჩოს ზემოთ ამოკვეთილია ოთხი არაბული ციფრი – საბეჭდავის დამზადების თარიღი პიჯრით: "1072", რაც შეესატყვისება ქრისტიანული წელთაღრიცხვის 1661/1662 წელს.

ბერძნული წარწერის შინაარსისა და ამ თარიღის შეპირისპირება უფლებას იძლევა დავასკვნათ, რომ საბეჭდავი ეკუთვნოდა კათალიკოსს დომენტი III-ს, რომელსაც საქართველოს საპატრიარქო საყდარი ეპყრა 1659-1676 წლებში.

წმ. საბა განწმენდილის მონასტერში დაცულ ამ საბეჭდავს ორეული აღმოაჩნდა: შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურში ინახება დომენტი III კათალიკოსის კუთვნილი სხვა საბეჭდავი (საინვენტარო №3202), რომელიც მთის ბროლისაგან არის გამოჭრილი (ილ. 4), მაგრამ მისი ზედწერილები, გამოსახულებანი, საბეჭდავი ზედაპირის ფორმა და ზომაც კი პრაქტიკულად იდენტურია სპილენძის ზემოაღწერილი საბეჭდავისა; დამზადების თარიღიც ერთი და იგივე უზის ორივე საბეჭდავს. ამ ორი საბეჭდავის გამოსახულებები მხოლოდ უმნიშვნელო შტრიხებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუმცა აშკარაა, რომ ბროლის საბეჭდავი სპილენძისაზე ცოტა უფრო უკეთესი ნახელავია.

იგივე ითქმის წარწერებზეც. სხვაობა აქაც მინიმალურია. ჩარჩოში მოქცეული ბერძნული წარწერის ბოლო "Т" ბროლის საბეჭდავზე წინა



3. სპილენძის საბეჭდავი წმ. საბა განწმენდილის მონასტრიდან. ანაბეჭდი. (ფოტო დ. ცხადაძის)



4. მთის ბროლის საბეჭდავი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმიდან. ანაბეჭდი. (ფოტო დ. ცხადაძის)

"Σ"-ში არის შეწიადებული, სპილენძის საბეჭდავზე კი ცალკე წერია. ბროლის საბეჭდავის ქართულ წარწერაში, სპილენძის საბეჭდავისაგან განსხვავებით, სიტყვა "ბ[ა]ნკსნაო" სწორად, ზედმეტი "ე"-ის გარეშე წერია და ქარაგმის ნიშნებიც ნახმარია.

მთის ბროლის საბეჭდავი შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვს ს. ბარნაველს [იხ. მისი: "საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები", თბილისი, 1965, გვ. 123-141, ტაბ. XXI-XXXII] და ამ საბეჭდავით არის დაბეჭდილი დომენტი III კათალიკოსის მიერ 1672 წელს გაცემული საბუთი, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (№689 Ad). იმავე საბეჭდავით არის დამტკიცებული კათალიკოს ანტონ I-ის (1744-1755 წწ.) წყალობის წიგნი (ხელნაწერთა ინსტიტუტის საბუთი №889 Hd) და ანტონ II-ის (1788-1811 წწ.) სიგელიც, რომელიც საქართველოს ცენტრალურ არქივშია დაცული (ფონდი 226, საბუთი №3137) [იხ. ს. ბარნაველის დასახ. ნაშრომი, გვ. 124-125]. ამავე საბეჭდავით არის დაბეჭდილი დომენტი III-ის კიდევ ერთი ქართულ-ბერძნული საბუთი, რომელიც იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს არქივში აღმოჩნდა.

დომენტი III-ის სპილენძის ამ საბეჭდავით დამოწმებული რაიმე საბუთი ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ თვით ფაქტი ორი ერთნაირი საბეჭდავის არსებობისა მთელ რიგ ჯერჯერობით უპასუხო კითხვებს აღძრავს. ვინ და რა მიზნით დაამზადა ოფიციალური საბეჭდავის დუბლიკატი, როცა ცნობილია, რომ

ამგვარი ქმედება ძველთაგანვე სასტიკად იყო აკრძალული, და როგორ მოხვდა საქართველოს კათალიკოსის საბეჭდავი იუდეის უდაბნოში, როცა ცნობილია, რომ დომენტი III წმინდა მიწაზე არასოდეს ყოფილა?

იმედია, რომ შემდგომი კვლევა-ძიება წმინდა მიწაზე, განსაკუთრებით იქაურ არქივებში, საშუალებას მოგვცემს ვუპასუხოთ ამ და კიდევ სხვა კითხვებსაც, ამჯერად კი საკმაოდ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მთის ბროლის საბეჭდავი დედანია და პირველადი, ხოლო სპილენძისა – მისი პირი, თანაც დამზადებული ქართულის უცოდინარი ან სუსტად მცოდნე ხელოსნის მიერ. ამაზე მეტყველებს ქარაგმის ნიშნების გაქრობა სპილენძის საბეჭდავზე ერთადერთი გამონაკლისის გარდა, როცა ქართული წარწერის პირველი სიტყვის თავზე სრულიად უაზრო წერტილი დარჩა ნაცვლად ქარაგმის ბოლოებწერტილიანი კლაკნილი ხაზისა, რომელიც ბროლის საბეჭდავზე ცუდად, მაგრამ მაინც ჩანს. ზემოთ ნახსენები ზედმეტი "ე"-ც ბროლის საბეჭდავის "ნ" ასონიშნის ზედა ჰორიზონტული ხაზის მცირე დეფექტის – ზედმეტად წაგრძელების შედეგი უნდა იყოს.

ბერძნული ამ ხელოსანმა, თითქოს, უკეთ იცოდა: იგი გულდაგულ იმეორებს მთის ბროლის საბეჭდავზე ამოკვეთილი ბერძნული წარწერის ყველა დეფექტს, მაგრამ როცა წარწერის ჩარჩოში განთავსებისას ბოლოსკენ ადგილი მორჩა, "Σ"-ში შეწიადებული "I" გარეთ გამოიტანა. ამას ბერძნულის უვიცი ვერ გაბედავდა.